

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a></p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>შავიზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგია</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>არქეოლოგიის მაგისტრი</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, საიდანაც 90 ECTS კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს(მათგან - 10 ECTS კრედიტი - არჩევით კურსებს), 30 ECTS კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>მოამზადოს მაგისტრები არქეოლოგიის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის. მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა არქეოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ. საფუძვლიანად დაეუფლონ დაზვერვების, გათხრების დაგეგმვის, ორგანიზების, სტრატეგრაფიისა და კულტურული ფენების განსაზღვრის უნარ-ჩვევებს. შეეძლოს მატერიალურ ნაშთებში ასახული კულტურული-ისტორიული პროცესების კანონზომიერებათა დადგენა და ინტერპრეტაცია, განავითაროს მასალის ანალიზისა და სინთეზირების, ასევე კრიტიკული ხედვის უნარი, შეეძლოს ისტორიულ ცოდნაში თეორიული და გამოყენებითი კომპონენტების გამოყოფა, მისი საექსპერტო, პროგნოსტიკული და სხვა ფუნქციების განსაზღვრა.</p>
<p>სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<p>ფლობს კვლევის თანამედროვე მეთოდებს; აქვს დაზვერვების, გათხრების დაგეგმვის, ორგანიზების, სტრატეგრაფიისა და კულტურული ფენების განსაზღვრის, აღმოჩენილი მასალების მორფოლოგიური, ფუნქციონალური, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის, სისტემატიზაციის, კამერალური სამუშაოების და კვლევის დარგობრივი უნარჩვევები;</p> <p>შეუძლია არქეოლოგიური და წერილობითი მონაცემების შეჯერება, ნივთიერი მასალის ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური დამუშავება, ახლად აღმოჩენილი ნივთიერი მასალების განსაზღვრა, აღწერა, დახასიათება, კლასიფიკაცია, და-</p>

	<p>თარიღება, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება;</p> <p>შეუძლია შავიზღვისპირეთის და კავკასიის კულტურათა კომპლექსური შესწავლა, საკვლევო პრობლემის გამოკვეთა და დასაბუთება, ველზე წამოჭრილი ახალი და რთული პრობლემების გაცნობიერება, ანალიზი, მათი გადაჭრის სტრატეგიის დაგეგმვა და სწორი დასკვნის გაკეთება;</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p><b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b></p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროფ. შოთა მამულაძე  ტელ: 595 35 21 20  nenia <a href="mailto:1952@yahoo.com">1952@yahoo.com</a>  ასოც.პროფ. მერაბ ხალვაში  ტელ: 577 17 97 55  m.khalvashi@bsu.edu.ge</p>